შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
სწ-2 - ავტოსადგომი **სვ** - სავაჭრო კომერციული **სქ** - საოფისე კომერციული **თვ-3** - სპორტული დარბაზი **სც-2** - საცხოვრებელი ერთეულები

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის:	**კონსტრუქციის ტიპი - I-** A (შერჩეულია შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და ფართობის გათვლისწინებით (503 ცხრილის მიხედვით)

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები სართულიანობა**	**შემოთავაზებული სართულიანობა**
სც-2; სვ; სქ; სწ-2; თვ-3	შეუზღუდავი	17
	დასაშვები სიმაღლე	**შემოთავაზებული სიმაღლე**
საერთო სიმაღლე	შეუზღუდავი	+46.00 (დაკავებული +40.30)

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები ფართობი**	**შემოთავაზებული ფართობი**
სვ	შეუზღუდავი	შეუზღუდავი
სწ-2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი
სქ	შეუზღუდავი	შეუზღუდავი
სც-2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი
თვ-3	შეუზღუდავი	შეუზღუდავი
იატაკის საერთო ფართობი =	შეუზღუდავი	
იატაკების რაოდენობა =	**17 (სამი მიწისქვეშა)**	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი**(საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
(ღეძებში) 5-1	>5	0	1	75%	75%	25%	-	-	25%
(ღერძებში) ა-დ	<3	1	1	45%	45%	15%	-	-	-
(ღერძებში) დ-ზ	>9	0	1	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	-	-	შეუზღუდავი
(ღერძებში) ზ-ი	<3	1	1	45%	45%	15%	-	-	-
(ღერძებში) ი-ა	>9	0	1	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	-	-	შეუზღუდავი
(ღერძებში) 1-5	<1	1	1	დაუშვებელი	დაუშვებელი	დაუშვებელი	-	-	-

დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის ავტომატური აღმომჩენი	ხელის ცეცხლმაქრები
სწ-2	არის (903)	არის (907	-	არის (909)	არის (906)
სც-2	არის (დერეფანი) (903)	არის (907	-	არის (909)	არის (906)
სვ	არ არის (903)	არის (907	-	არის (909)	არის (906)
სქ	არ არის (903)	არის (907	-	არის (909)	არის (906)
თვ-3	არის (903)	არის (907	-	არის (909)	არის (906)
კიბე			არის (905)	მექანიკური განიავება	

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება (1021)									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე(მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერეფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
მიწისქვეშა სართულები	სწ-2; დდ 38	2	2	2	2	_	_	0.82	0.90
პირველი სართული	სქ დ.დ 37	2	2	2	2	1.20	1.70	0.82	0.90
მეორე სართული	სვ დ.დ 159	2	3	2	2	_	_	0.82	0.90
მესამე-მეოთხე სართული	თვ-3; დ.დ 111-115 (სართ)	2	2	2	2	1.20	1.20	0.82	0.90
დანარჩენი სართულები	სც-2 ; დ.დ 25 (სართ)	2	2	2	2	1.20	1.20	0.82	0.90

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა ცხრილი 1602.1-ის მიხედვით													
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები(ცალი)											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მოთხოვნილი	წარმოდგენილი გათვალის	მოთხოვნილი	წარმოდგენილი გათვალის	მოთხოვნილი	წარმოდგენილი გათვალის	მოთხოვნილი	წარმოდგენილი გათვალის	მოთხოვნილი	წარმოდგენილი გათვალის	მოთხოვნილი	წარმოდგენილი გათვალის
მიწისქვეშა სართულები	სწ-2; დდ 38	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
პირველი სართული	სქ დ.დ 37	1	1	1	1	-	1	1	1	1	1	-	-
მეორე სართული	სვ დ.დ 159	2	2	2	2	-	1	2	2	1	1	-	-
მესამე-მეოთხე სართული	თვ-3; დ.დ 111-115 (სართ)	1	4	1	4	4	4	1	1	1	1	1	1
დანარჩენი სართულები	სც-2 ; დ.დ 25 (სართ)	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1

საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები "დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საფუძველი: "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი.

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილების 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით).

საპროექტო ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, ჯავახეთის ქ. №82, საკადასტრო კოდით №01.19.36.001.533 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრულია 17 სართულიანი მრავალფუნქციური დანიშნულების საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ექსპერტიზაში განხილულია წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობა 41 დადგენილების მოთხოვნებთან.

შენობის პირველ სამ სართულზე განთავსებულია ავტოსადგომები შემდეგი ოთხი სართული დაკავებულია სხვადასხვა ფუნქციის კომერციული ფართებით ხოლო დანარჩენი სართულები სრულად ათვისებულია საცხოვრებელი ერთეულებით.

საექსპერტო შეფასების ზოგადი აღწერა

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილების 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) ლიფტისადმი მოთხოვნებს

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ხანძრისაგან დაცვის სისტემის შეფასებას;

კ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას

ლ) ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი დაკავებულობები:

-12.30 ნიშნულზე: სწ- ავტოსადგომი

-9.30 ნიშნულზე: სწ- ავტოსადგომი

-6.30 ნიშნულზე: სწ- ავტოსადგომი

-3.30 ნიშნულზე: სქ - კომერციული ფართი საოფისე დაკავებულობით

0.0 **ნიშნულზე:** სვ - კომერციული ფართი სავაჭრო დაკავებულობით

+4.00 ნიშნულზე: თვ-3 კომერციული ფართი თავშეყრის დაკავებულობით

+7.30 ნიშნულზე: თვ-3 კომერციული ფართი თავშეყრის დაკავებულობით

+10.60 ნიშნულზე: სც-2 – საცხოვრებელი ფართები

+13.90 ნიშნულზე: სც-2 – საცხოვრებელი ფართები

+17.20 ნიშნულზე: სც-2 – საცხოვრებელი ფართები

+20.50 ნიშნულზე: სც-2 – საცხოვრებელი ფართები

+23.80 ნიშნულზე: სც-2 – საცხოვრებელი ფართები

+27.10 ნიშნულზე: სც-2 – საცხოვრებელი ფართები

+30.40 ნიშნულზე: სც-2 – საცხოვრებელი ფართები

+33.70 ნიშნულზე: სც-2 – საცხოვრებელი ფართები

+37.0 ნიშნულზე: სც-2 – საცხოვრებელი ფართები

+40.30 ნიშნულზე: სც-2 – საცხოვრებელი ფართები

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს "წესების" ცხრილი 1004.1.2-ის მოთხოვნებს, კერძოდ: სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე.

სწ-2 ჯგუფისთვის 18.6

სვ ჯგუფისთვის 2.8

სქ ჯგუფისთვის 9.3

თვ-3 ჯგუფისთვის 4.7

დს ჯგუფისთვის 27.9

სც -2 ჯგუფისთვის 18.6

-12.30 ნიშნულზე: სწ2 დდ =38

-9.30 ნიშნულზე: სწ2 დდ =38

-6.30 ნიშნულზე: სწ2 დდ = 31

-3.30 ნიშნულზე: სქ დდ = 37

0.00 ნიშნულზე: სვ დდ = 159

+4.00 ნიშნულზე: თვ-3 დდ = 111

+7.30 ნიშნულზე: თვ-3 დდ = 115

+10.60-30.40 ნიშნულზე: სც-2 დდ = 25

+33-70 ნიშნულზე: სც-2 დდ = 24

+37.00 ნიშნულზე: სც-2 დდ = 22

+40.30 ნიშნულზე: სც-2 დდ = 17

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა საპროექტო კონსტრუქციის ტიპი შენობისთვის I-A, რომელიც შერჩეული იქნა გამოყენებული ცეცხლმედეგი მასალებისა და შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით, რაც აკმაყოფილებს 503 სხრილის მოთხოვნებს.

601 სხრილის მიხედვით კონსტრუქციის ტიპს მოეთხოვება:

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო – 3 სთ.
- მძიდი კედლები გარე-3 სთ
- მზიდი კედლები შიგა 3ა სთ
- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები – 1 1/2ბ სთ.
- იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები – 2 სთ.

ა. სახურავის საყრდენები: სტრუქტურული ჩარჩოსა და მზიდი კედლების ცეცხლისაგან დაცვის ხარისხი შეიძლება შემცირდეს 1 სთ-ით, თუ მხოლოდ სახურავს ზიდავს.

ბ. სმ-1, დსშ, სვ და სწ-1 ჯგუფის დაკავებულობების გარდა, ნაგებობის ნაწილებს, სახურავის ჩარჩოს და ფენილს არ სჭირდება ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუ სახურავის კონსტრუქციის ყოველი ნაწილი უშუალოდ მის ქვეშ მდებარე იატაკიდან 6,0 მ-ით ან მეტით ზემოთაა. ასეთი დაუცველი ელემენტებისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს ცეცხლმედეგობისათვის დამუშავებული ხის ელემენტები.

გ. სადაც აუცილებელია 1 სთ ან ნაკლები ცეცხლმედეგობის ხარისხი, ყველა ფართობზე დასაშვებია მასიური ხის გამოყენება.

აღნიშნული სრულად აკმაყოფილებს 601-ე ცხრილის მოთხოვნებს.
რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით წარმოდგენილი ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს გარე კედლებისადმი მოთხოვნებს, გარე კედლებს აქვს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც შესაბამისობაშია 602 ცხრილის მოთხოვნებთან.

- ა-ი ფასადის ნაწილები რომლებიც საკადასტრო ხაზთან 3 მ ზე ნაკლები მანძილით არის განთავსებული არ გააჩნია ღიობები, ხოლო აღნიშნული ფასადის ნაწილებზე რომლებიც 9 მ ზე მეტი მანძილით არის დაშორებული საზ. საზღვრიდან შეუზღუდავია ღიობების განთავსება.
- 5-1 ფასადზე ღიობები განთავსებულია მინიმუმ 5 მეტრის დაშორებით საკადასტრო საზღვრიდან და ღიობების პროცენტული მაჩვენებელი აკლამყოფილებს წესების მოთხოვნებს.
- 1-5 ფასადზე ღიობები არ არის განთავსებული.
- ი-ა ფასადზე ღიობები განთავსებულია 9 მ-ზე მეტი მანძილის დაშორებით საკადასტრო ხაზიდან.

შესაბამისად ამ მანძილებით დაშორებულ ფასადებზე მოწყობილი ღიობების პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისობაშია წესების 705.8 ცხრილის მოთხოვნებთან.

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

პროექტით გათვალისწინებულია +46,00 მ.(დაკავებული 40.30) სიმაღლის 17 სართულიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი. წესების 503-ე

ცხრილის მიხედვით I-A კონსტრუქციის შენობა შეიძლება იყოს, შეუზღუდავი სიმაღლის, შეუზღუდავი ფართობისა და შეუზღუდავი სართულის მქონე შენობა, შესაბამისად საპროექტო ობიექტი ზემოაღნიშნული მახასიათებლებით აკმაყოფილებს "წესების" 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;

პროექტით გათვალისწინებული თითოეულ სართულს ესაჭიროება 2 გასასვლელის მოწყობა. თითოეულ სართულს ემსახურება 2 გასასვლელი.

ვტოსადგომების სართულებიდან გასვლა შესაძლებელია გზა-კიბეებით, საქმიანი დაკავებულობის სართულზე მოწყობილია მესამე გასასვლელი ღია სივრცისკენ. სავაჭრო დაკავებულობის ფართიდან ასევე შესაძლებელია სამი გასასვლელით სარგებლობა. გზა-კიბეებს აღნიშნულ ნიშნულზე გააჩნიათ დამოუკიდებელი პირდაპირი გასასვლელი გარეთ, ყველა ზედა ნიშნული სარგებლობს ორი გზა კიბით. ღაც აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. თითოეულ სართულზე კიბესთან მოწყობილია ტამბური, იმ შემთხვევაში როცა სართული დაყოფილია სხვადასხვა საკუთრებებად კიბეებთან მისასვლელს უზრუნველყოფს გზა-დერეფანი.

თითოეულ სართულზე გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილის სიგრძე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილის მოთხოვნებს. უკიდურესი წერტილიდან პროექტით გათვალისწინებული სავალი მიწისქვეშა ნიშნულებზე არის 21 მ. პირველ მიწისპირა ნიშნულზე 17 მეტრია, საქმიან დაკავებულობაში 18 მეტრი, კომერციულ სავაჭრო დაკავებულობაში 22 მ, სპორტული თავშეყრის ჯგუფში ნიშნულებზე 19 და 24 მ, საცხოვრებელ დაკავებულობებში 18 მ სტანდარტულ სართულებზე, ხოლო ბოლო სართულებზე 22 და 21 მ. აღნიშნული მანძილები არ აღემატება 1016 ცხრილში მოცემულ დასაშვებ მანძილებს.

პროექტი წესების მიხედვით ითვალისწინებს 1.70 მ. დერეფანს საცხოვრებელი ერთეულების ნიშნულზე. დანარჩენ დაკავებულობაში

არსებული დერეფნები არ არის 1,20 მ. ზე ნაკლები და სავალი ბილიკები 0.9 მ.-ზე ნაკლები.

გასასვლელი კარების მინიმალური თავისუფალი სიგანე გათვალისწინებულია მინიმუმ 0.82 მ.

შენობაში გამოყენებული ორივე გზა კიბის გასასვლელი გადის შენობიდან საზ. სივრცისკენ შუალედური სივრცეების გარეშე.

მიწისპირა ნიშნულზე კომერციულ ფართებს აქვს დამოუკიდებელი 2 გასასვლელი.

სვ ჯგუფის დაკავებულობას უჭირავს მთელი სართული და ემსახურება სამი გასასვლელი.

თვ-3 ჯგუფის დაკავებულობებს სპორტულ დარბაზში ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელი და ასევე დაკავშირებულია ორი სართული შიდა კიბით.

პროექტი შესაბამისობაშია წესების 1015 ქვეთავისა და 1016.2 ცხრილის მოთხოვნებთან.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასავლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

1016 თავის მიხედვით საჭიროა შენობაში სართულზე ორი გასასვლელის მოწყობა, პროექტით გათვალისწინებულია ორი ძირითადი გზა-კიბე ყველა ფუნქციისათვის

კიბეები ერთმანეთთან განლაგებულია 9 მ-ზე მეტი მანძილის დაშორებით,

კიბეების განთავსება ქმნის 6 მ-ზე მეტი მანძილის მქონე ჩიხურ დერეფნებს და ამ დერეფნებში მოწყობილია ავტოსაშხეფი სისტემა.

გზა-კიბეების მარშის სიგანე წესების მოთხოვნის მიხედვით, სახელურებს შორის არის 1.20მ. კიბეები შემოზღუდულია 1.80 სავალი მანძილის მქონე ტამბურებით.

1009.16 პუნქტისა და ქვეპუნქტების შესაბამისად სახურავი დაუკავებელია და მასზე მოხვედრა ხდება ორივე ძირითადი კიბით.

გასასვლელთან მისადგომის შემოზღუდულ გზა-კიბეებში არ არის მოწყობილი ისეთი გაყვანილობები რომლებიც აუცილებელი არ არის გასასვლელთან მისადგომის შემოზღუდული გზა-კიბეებისთვის. (1009.3.1.5.1.)

გზა-კიბეების შემომზღუდავების გაყვანილობები დაცულია, ისე როგორც ცეცხლმდებეგი ზღუდეების გაყვანილობები 714 თავის შესაბამისად.

3) მისაწვდომობის შეფასება:

შენობის ყველა ნაწილში და მის გარეთაც საკადასტრო ერთეულის ფარგლებში უზრუნველყფილია მისაწვდომობა.

შენობის ყველა გასასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ შენობაში მოხვედრა შესაძლებელია პანდუსით, შენობაში მოწყობილია ლიფტი, გათვალისწინებულია კიბის უჯრედსა და ლიფტის ტამბურში თავშესაფრის სივრცეები შესაბამისი ზომებით, თუმცა დერეფანს აქვს ავტოსაშხეფი სისტემა და თავშესაფრის სივრცეების მოწყობა აუცილებელი არ არის.

არცერთი კარის თავისუფალი სიგანე არ არის 0.9 სმ-ზე ნაკლები.

შენობის საზ. დანიშნულების და საერთო დანიშნულების ნებისმიერ სივრცეში, წესების მოთხოვნათა დაცვით, უზრუნველყოფილია 90 სმ-იანი სავალი ბილიკის არსებობა.

საცხოვრებელი ერთეულების მისაწვდომობის საკითხი დარეგულირებულია დადგენილების 1107.6.2 ქვეპუნქტის მიხედვით.

სც-2 დაკავებულობის საერთო რაოდენობის 2% არის ა ტიპის ერთეული, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი არის ბ ტიპის ერთეული..

სვ ჯგუფისთვის და ასევე საქმიანი ჯგუფის დაკავებული სივრცეები სრულად ადაპტირებულია მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით.

ზ) ლიფტისადმი მოთხოვნები

პროექტით გათვალისწინეულია სახანძრო სამაშველო დანაყოფებისთვის 2 ლიფტი 1707 ქვეთავის მიხედვით დაგეგმარებული. ლიფტებს გააჩნია ფოიე 12.9 კვ.მ. რომელსაც აქვს კიბესთან კავშირი. 1707.4 პუნქტის მიხედვით ფოიეს მინიმალური სიგანეა 2 მ. ლიფტის კაბინის მინიმალური თავისუფალი ზომა გათვალისწინებულია ისე, რომ შესაძლებელია ლიფტში საკაცის განთავსება. საკაცის ზომები 2,15X0,60.

ლიფტის ფოიეს აქვს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი ხოლო სახანძრო სამაშველო დანაყოფის მისადგომი ყველა კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი 45 წუთზე მეტია (ლიფტის შახტში შესასვლელი კარის გარდა). (1707.7.3)

1707.7.5 პუნქტის მიხედვით სახანძრო სამაშველო ლიფტის ფოიეში ლიფტის შახტის კარის ჩარჩოს ორივე მხარეს ჩარჩოს მარჯვენა კუთხეში სტანდარტული დიზიანინის გრაფიკული სიმბოლოა განთავსებული.

სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტი ხანძრის მართვის ცენტრიდან მუდმივად გაკონტროლდება NFPA 72- ის შესაბამისი სტანდარტული საავარიო მომსახურების ინტერფეისული სისტემის მიერ (1707.8)

ლიფტის შახტისა და სამანქანო ოთახის გარეთ არსებული გაყვანილობა ან კაბელები, რომლებიც ჩვეულებრივი ან სათადარიგო ელ. ენერგიის მიწოდებას, საკონტროლო სიგნალების ამოქმედებაას, კარადასთან კავშირს, განათებას, გათბობას, ჰაერის კონდიცირებას , განიავებასა და ცეცხლაღმომჩენი სისტემების მუშაობას უზრუნველყოფს სახანძრო სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომ ლიფტებში, 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კონსტრუქციით იქნება დაცული ან კაბელის ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 სთ იქნება. (სიგნალის საკონტროლებელი გაყვანილობისა და კაბელების დაცვა საჭირო არ არის თუ გაყვანიოლბა და კაბელები II ფაზის საბანგებო რეჟიმს არ ემსახურება) (1707.9)

905 ქვეთავის მიხედვით შესაბამისი კლასის სახანძრო მილდგარის სახელოს თავაკი უზრუნველყოფილია შიგა გასასვლელის გზა-კიბეზე.

გასასვლელის შემომზღუდავი, რომელშიც სახანძრო მილდგარია, იატაკს ისე დაუკავშირდება , რომ სახანძრო სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიეს გადაკვეთა საჭირო არ იქნება.(1707.10)

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

სახურავის სტრუქტურისა და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 601-ე სხრილის მიხედვით, საპროექტო შენობის გადახურვა აკმაყოფილებს "წესებით" განსაზღვრულ 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, არის მოწოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

ი) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია:

- ხელის ცეცხლმაქრები

ხელის ცეცხლმაქრები დამონტაჟებულია საცხოვრებელი სართულის დერეფანში, დაკავებულ სავაჭრო ფართობსა და საქმიან ფართობში, სპორტულ ცენტრსა და მიწისქვეშა ავტოსადგომებში.

- ავტოსაშხეფი სისტემა

უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ფუნქციით დაკავებული იატაკების დერეფნები; კომერციული ფართის დერეფანი მეორე სართულზე, პარკინგი მიწისქვეშა სართულზე. სპორტ-დარბაზი სრულად.

დანარჩენ დაკავებულობებს (სვ, სქ) დადგენილების მიხედვით არ მოეთხოვება საშხეფი სისტემის მოწყობა მათი ფართობიდან და აგებულების ტიპიდან გამომდინარე.

- სახანძრო მილდგარების სისტემები
  სახანძრო მილდგარების სისტემა მოწყობილია კიბის უჯრედებში პროექტით გათვალისწინებულია I კლასის სახანძრო მილდგარი 905 ქვეთავის შესაბამისად

- მექანიკური განიავება

  მექანიკური განიავების სისტემები მოწყობილია ყველგან სადაც არ არის ბუნებრივი განიავება. ძირითადად ეს სივრცებია: დერეფანი, კიბის უჯრედი, ტამბური, ლიფტის ფოიე. მიწისქვეშა სართულები.

- სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები
  ყველა დაკავებულ იატაკზე
- კვამლის ავტომატური აღმომჩენი
  ყველა დაკავებულ იატაკზე

სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა მოწყობილია ყველა იატაკზე, დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე.

სახანძრო განგაშის სისტემა უნდა აქტიურდებოდეს:

1. ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით;
2. საშხეფის წყლის ჭავლის მართვის მექანიზმებით;
3. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით;
4. ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემებით.

სახანძრო განგაშის სისტემა უნდა მოეწყოს NFP 72-ის შესაბამისად

ხანძრისგან დაცვის სისტემების განთავსება პირობითია და საჭიროებს დეტალურ საინჟინრო პროექტირებას, ავტოსაშხეფი სისტემისთვის ავზები გათვალისწინებულია ტექნიკურ დამხმარე სივრცეში მიწისპირა სართულზე.

კ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები შეესაბამება დაკავებულობის ტიპს, მათი რაოდენობა კი -1602.1 ცხრილში მოცემულ მინიმალურ რაოდენობას.

საკვლევი პროექტით გათვალისწინებულია :

- სქ ჯგუფის დამოუკიდებელი დაკავებულობებისთვის თითო ადაპტირებული სველი წერტილი, წესების მოთხოვნის შესაბამისად საქმიან ჯგუფებში მოთხოვნილია 25 დამკავებელზე 1 უნიტაზი და 40 დამკავებელზე 1 ხელსაბანი. შესაბამისად სქ ჯგუფში გათვალისწინებული სველი წრეტულები აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.
- სვ ჯგუფის დაკავებულობაში განთავსებულია 2 ადაპტირებული სველი წერტილი, წესების მოთხოვნით; საჭიროა 500 დამკავებელზე 1უნიტაზი. 750 დამკავებელზე ერთი ხელსაბანი, ერთი ცალი სამომსახურეო ნიჟარა 1000 თვის და ერთი წყლის შადრევანი 1000 დამკავებლისთვის, სვ ჯგუფს ყავს 159 დამკავებელი, შესაბამისად ორი სველი წერტილის მოწყობა საკმარისია.
- სწ-2 ჯგუფს არ მოეთხოვება წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები;
- თვ-3 ჯგუფში მოთხოვნილია ერთი ხელსაბანი 200 დამკავებლისთვის ერთი უნიტაზი 125 კაცისთვის და 65 ქალისთვის. მ დაკავებბულობაშ გათვალისწინებულია 8 ხელსაბანი და 4 უნიტაზი. რაც აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.
- საცხოვრებელ ერთეულებს გააჩნია დამოუკიდებელი სველი წერტილები და სამომსახურეო ნიჟარები დანიშნულებისამებრ თითოეულ ერთეულს ცალკე.

ლ) ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნები:

ავტოსადგომებისთვის შენობაში დათმობილია სამი სართული.

თითოეულ დაკავებულ ნიშნულს გააჩნია ერთი შესასვლელი და ერთი გამოსასვლელი, რომელთა სიგანეა 3.5 მ. შენობაში ავტომობილის მოხვედრა შესაძლებელია პანდუსით, რომელიც 16% დახრისაა, ხოლო თავსა და ბოლოში 3,5 მ სიგრძეზე დახრის მაჩვენებელი არის 10%. რაც აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

ავტომობილების სადგომი სივრცე შეესაბამება წესების მოთხოვნებს. საავტომობილო გზის სიგანე 3.5 მ, საავტომობილო გზის მოხვევის შიგა რადიუსი = 3.5 მ.

ავტოსადგომების ზომები შეესაბამება წესების მოთხოვნებს განლაგებისა და ზომების მიხედვით. ავტოსადგომებთან მისასვლელი და გასავლელის მანძილები შეესაბამება წესების მოთხოვნებს. 90 გრადუსით პარკირებისას მანქანის უკან სავალის სიგანე არის 5.5 მ. (406.9.4.3)

შენიშვნები:

მუშა დოკუმენტაციისა და საინჟინრო კომუნიკაციების დამუშავებისას გათვალისწინებული იქნას წესების მოთხოვნები.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს

მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული (სანებართვო) პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

დასკვნა

ქ. თბილისში, ჯავახეთის ქ. №82, საკადასტრო კოდით №01.19.36.001.533 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, 17 სართულიანი მრავალფუნქციური დანიშნულების საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები "დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი არქიტექტორი : ნინო ქობულაძე

„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“

განხილულია ქ. თბილისში, ჯავახეთის ქ. №82, საკადასტრო კოდით №01.19.36.001.533 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 17 სართულიანი მრავალფუნქციური დანიშნულების საცხოვრებელი სახლის

✓მისაწვდომი სვლაგეზი:

• მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები;

• თითოეული კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები;

• პანდუსები;

• ლიფტი.

✓ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:

• მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები;

• მისაწვდომი გზაკიბეები;

• ფანჯრები.

✓წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

• ტუალეტების ოთახები:

• უნიტაზები;

• ხელსაბანები;

✓საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

• ნიშნები;

✓მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:

• „ა“ ტიპის ერთეული;

• „ბ“ ტიპის ერთეულები

შენობის პირველ სამ სართულზე განთავსებულია ავტოსადგომები შემდეგი ოთხი სართული დაკავებულია სხვადასხვა ფუნქციის კომერციული ფართებით ხოლო დანარჩენი სართულები სრულად ათვისებულია საცხოვრებელი ერთეულებით.

ყველა დაკავებულ იატაკს წესების დაცვით უზრუნველყოფილი აქვს მისაწვდომობის დაცვა.

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, პანდუსს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, ძირითადად კარის თავისუფალი სიგანეები არის 900 მმ. რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

- 705-ე ქვეთავის შესაბამისი ამოცნობადი გამაფრთხილებლები განთავსებულია ქვეითთა გზაზე გადასასვლელთან არსებულ ბორდიურის პანდუსთან, რაც შეესაბამება 406.6.2 ქვეთავის 1-ლი პუნქტის მოთხოვნას. ამოცნობადი გამაფრთხილებლები მოწყობილია შემდეგი ნორმების დაცვით:

• ამოცნობადი გამაფრთხილებლების კონტრასტი სხვა ზედაპირებისაგან შესაბამისობაშია 705.3 ქვეთავთან.

• ამოცნობადი გამაფრთხილებლების სიღრმე და სიგანე შეესაბამება 705.6 ქვეთავს.

• ამოცნობადი გამაფრთხილებლები განთავსებულია ბორდიურის უკან, პანდუსის ზედაპირზე, თანახმად 705.7.1 ქვეთავის მე-2 პუნქტისა.

ადგილის და შენობის ელემენტები:

1. საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 160 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 300 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.

- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.

- კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.

- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.

- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

1. საპროექტო ფართებში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომს თავშესაფრის ფართობთან მომიჯნავე იატაკის ფართობიდან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“, მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოთი, ასეთი ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავს ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით და ასეთი ნიშანი არის განათებული.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის ავტოსადგომ სივრცეში. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

- მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:

შენობის ათ სართულზე განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულები, საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობის მიხედვით შენობაში განთავსებულია 3 ა ტიპის ბინა (ცხრილი 1106.1), ხოლო დანარჩენი ერთეულები მოწყობილია ბ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის პარამეტრების შესაბამისად.

1. საპროექტო შენობაში „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულების რაოდენობებისადმი მოთხოვნა დადგენილია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი ერთეულებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-11 თავის დებულებებს, კერძოდ:

„ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული:

- „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1103.2 ქვეთავისა.

- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1103.3.1 ქვეთავს.

- ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებელი სივრცე. თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.3 ქვეთავისა.

- სავალი ზედაპირები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 403-ე ქვეთავს.

- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი და ყველა სხვა გზა-კარი, რომელშიც დამკავებელმა უნდა გაიაროს, შეესაბამება 404 ქვეთავს.

- ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.

- სარეცხი მანქანა შეესაბამება 611-ე ქვეთავს.

- ერთეულში მოწყობილია ერთი ტუალეტი რომელიც აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

✓ ხელჩასაჭიდი ძელების სამომავლო მოწყობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.

✓ მისაწვდომი მოწყობილობები მდებარეობდეს ერთ ტუალეტის/სააბაზანოს ფართობზე.

✓ გაღებისას კარი არ იჭრება იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.

✓ ხელსაბანები შეესაბამება 606-ე ქვეთავს.

✓ უნიტაზი შეესაბამება 1103.11.2.4 ქვეთავს.

✓ საშხაპე შეესაბამება 607-ე ქვეთავს.

✓ სამზარეულოები შეესაბამება 1103.12 ქვეთავს.

„ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული:

- „ბ“ ტიპის ერთეულებში მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 1104.1.1 ქვეთავს და უტოლდება 760მმ X 1200მმ-ს.

- „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1104.2 ქვეთავისა.

- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებდეს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს, თანახმად 1104.3.1 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 403.5 ქვეთავს.

- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი შეესაბამება 404-ე ქვეთავს.

- ერთეულის საზღვრებში არსებული ყველა კარი შეესაბამება 1104.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ ყველა კარის სუფთა სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები.

- ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.

- სარეცხ მანქანასთან გათვალისწინებულია პარალელური მისაწვდომი თავისუფალი სივრცე, თანახმად 1104.10.1 ქვეთავისა.

- ტუალეტისა და აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1104.11 ქვეთავს, კერძოდ:

✓ კარი არ იჭრება მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.

✓ ხელსაბანები შეესაბამება 1104.11.3.1 ქვეთავს.

✓ უნიტაზი შეესაბამება 1104.11.3.1.2 ქვეთავს.

✓ აბაზანები შეესაბამება 1104.11.3.1.3.1 და 1104.11.3.1.3.2 ქვეთავებს.

✓ სამზარეულოები შეესაბამება 1104.12 ქვეთავს.

შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ჯავახეთის ქ. №82, საკადასტრო კოდით №01.19.36.001.533 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 17 სართულიანი მრავალფუნქციური დანიშნულების შენობის არქიტექტურული პროექტის მისაწვდომობის ნაწილი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი –"მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ს მოთხოვნებთან.

მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ნინო ქობულაძე

ხელმოწერა: 

2025 წ.

ნინო ქობულაძე

მობილური: 558388583

ელ-ფოსტა: N.kobuladze.1@gmail.com

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

დაბადების თარიღი: 16.01.1992



განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 09.2021 - 01.2025 არქიტექტურა, არქიტექტორი
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, 09.2014 - 07.2016 საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი, არქიტექტორი

მაგისტრი

მინჰოს უნივერსიტეტი Portugal, 09.2013 - 03.2014 არქიტექტურა, არქიტექტორი
ბაკალავრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, 09.2010 - 07.2014 საინჟინრო ფაკულტეტი, არქიტექტორი
ბაკალავრი

სამუშაო გამოცდილება

არქიტექტორი, GGM, 01.09.2022 - 01.05.2024, (20 თვე -1 წელი 8 თვე და 1 დღე)

მოვალეობები: სამშენებლო პროექტებში კონსულტაციები. არქიტექტურული პროექტების მომზადება

არქიტექტურული პროექტების მენეჯერი, Institut IGH, 01.02.2022 - 20.09.2023, (19 თვე -1 წელი 7 თვე და 20 დღე)

მოვალეობები: მიმდინარე არქიტექტურული პროექტების მენეჯმენტი უცხოელ და ქართველ კონტრაქტორებთან.

ექსპერტი-არქიტექტორი, ფიზიკური პირი, 20.08.2021 - დღემდე, (41 თვე -3 წელი 5 თვე და 1 დღე)

მოვალეობები: "შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესების" #41 დადგენილებისა და "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" #732 დადგენილების შესაბამისად არქიტექტურული პროექტების ექსპერტიზების მომზადება.

არქიტექტორი, ოთახი 402, 01.05.2021 - დღემდე, (44 თვე -3 წელი 8 თვე და 20 დღე)

მოვალეობები: არქიტექტურული პროექტების შექმნა. საექსპერტო დასკვნების მომზადება. არქიტექტურული/სანებართვო კონსულტაციები

I და II კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური, 01.05.2018 - 01.05.2021, (36 თვე -3 წელი 0 თვე და 1 დღე) მიბმული ფაილი (https://www.hr.gov.ge/files/8e51d007-3c44-4e01-b281-6c26383c2c65)

მოვალეობები: განყოფილების მართვა; შემოსული განხილული განაცხადის შემოწმება/კონტროლი; პირველი და მეორე კლასის შენობა ნაგებობების არქიტექტურულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა/შეფასება, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების მთავარი სპეციალისტი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური, 01.05.2018 - 01.06.2018, (1 თვე 1 დღე) მიბმული ფაილი (https://www.hr.gov.ge/files/05ee0154-217d-4153-9fde-9989ce6cb89f)

მოვალეობები: შემოსული კორესპონდენციის განხილვა და არქიტექტურულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა

წამოსვლის მიზეზი: დაწინაურება

მიწვეული ლექტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 01.10.2016 - 01.08.2018, (22 თვე -1 წელი 10 თვე და 1 დღე)

მოვალეობები: ლექციები საათობრივი დატვირთვით, ქალაქგეგმარებასა და არქიტექტურულ გეგმარებაში ბაკალავრის III-IV კურსის სტუდენტებთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობით.

წამოსვლის მიზეზი: საცხოვრებელი ქალაქის შეცვლა

არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, 01.04.2016 - 01.07.2018, (27 თვე -2 წელი 3 თვე და 1 დღე) მიბმული ფაილი (https://www.hr.gov.ge/files/f37a0cd3-fa82-441b-8dcf-e897972a2306)

მოვალეობები: არქიტექტურული პროექტების განხილვა.

დიზაინერი, შ. პ. ს პეანი, 01.03.2015 - 01.04.2016, (13 თვე -1 წელი 1 თვე და 1 დღე) მიბმული ფაილი (https://www.hr.gov.ge/files/68a51451-8fb1-4dee-8bb6-bb5a276a24a8)

მოვალეობები: კომპანიაში წარმოდგენილი პროდუქციის მიხედვით 3D დიზაინის შექმნა.

წამოსვლის მიზეზი: მშობლიურ ქალაქში დაბრუნება

სრული სტაჟი 118 თვე (9 წელი 10 თვე და 20 დღე)

ენები

ქართული (წერა:C2, მეტყველება:C2), **რუსული** (წერა:C1, მეტყველება:C2), **ინგლისური** (წერა:C2, მეტყველება:C1), **Portuguese** (წერა:A1, მეტყველება:A1),

კომპიუტერული პროგრამები

MS office applications (კარგი), **ArchiCAD** (კარგი), **AutoCAD** (კარგი), **Photoshop** (კარგი), **Arc GIS** (კარგი),

ტრენინგები, სხვა მიღწევები

საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საბჭო (აშშ),10.2018-11.2018
სამშენებლო კოდები (საქართველოში მოქმედი- შენობა ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ დადგენილება #41) ატვირთული ფაილი (https://www.hr.gov.ge/files/d0e5fb58-9d01-4cef-80bd-732301918549)

ფინანსთა სამინისტროს აკადემია,12.2016-12.2016
მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურები და ზედამხედველობის განხორციელება ატვირთული ფაილი (https://www.hr.gov.ge/files/b96de69e-7e11-48fb-b2db-276f7ddf784e)

ფინანსთა სამინისტროს აკადემია,12.2016-12.2016
სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვა ატვირთული ფაილი (https://www.hr.gov.ge/files/cd10a56c-464b-46a1-ac27-7e5f4978f851)

XEY ესპანეთი,11.2015-11.2015
სამზარეულოს ავეჯის დიზაინი

ენების ცენტრი/ მინჰოს უნივერსიტეტი,09.2013-12.2013
პორტუგალიური ენა ატვირთული ფაილი (https://www.hr.gov.ge/files/7be4d3b4-78b8-43dd-b771-118b023f79f1)

ტერი შვარცის სემინარები,11.2012-11.2012
ურბანული დიზაინი

არქიტექტორთა კავშირი,06.2012-06.2012
მწვანე გამოფენა

ნაშრომები, პუბლიკაციები

მიწის ნაკვეთის გეომეტრიული ფორმის მნიშვნელობა არქიტექტურაში,08.2024
სამშენებლო ნებართვები

Construction permits in Georgia,07.2024
სამშენებლო ნებართვები

DIFFERENT CITIES-DIFFERENT RULES 7.2024
სამშენებლო ნებართვები

მშენებლობის ნებართვა- ევროპული ქვეყნების პრაქტიკა,06.2023
სამშენებლო ნებართვები

საქართველო
Georgia

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY

ბაკალავრის დიპლომი
BACHELOR'S DIPLOMA

ISU № 000423

საინჟინრო ფაკულტეტის
2014 წლის 29 ივლისის №8 გადაწყვეტილებით

By decision №8 of the School of Engineering
on this 29th day of July, 2014

ნინო ქობულაძეს

დაბადებულს 16.01.1992

Nino Kobuladze

Born on 16.01.1992

მიენიჭა

არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

რასაც დადასტურებთ უნივერსიტეტის ბეჭდით და ჩვენი ხელმოწერებით

was conferred

THE DEGREE OF BACHELOR OF ARCHITECTURE

in witness thereof our signatures and the seal of the University are affixed

გიგა ზედანია
Giga Zedania

ზედამხედველი
Rector

დავით თარხნიშვილი
David Tarkhnishvili

დეკანი
Dean

ILIA STATE UNIVERSITY 204861970

რეგისტრაციის № 912

თბილისი
Tbilisi

თარიღი 13.10.2014
Date

საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
ILIA STATE UNIVERSITY

მაგისტრის დიპლომი
MASTER'S DIPLOMA

ISU № 000427

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის
2016 წლის 5 აგვისტოს №8 გადაწყვეტილებით
By decision №8 of the Faculty of Natural Sciences and Engineering
on this 5th day of August, 2016

ნინო ქობულაძეს

დაბადებულს 16.01.1992

Nino Kobuladze

Born on 16.01.1992

მიენიჭა

არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი

რასაც ადასტურებთ უნივერსიტეტის ბეჭდითა და წვენი ხელმოწერებით

was conferred

THE DEGREE OF MASTER OF ARCHITECTURE

in witness thereof the seal of the University and our signatures are affixed

გიგა ზედანია
Giga Zedania

დავით თარხნიშვილი
David Tarkhnishvili



დეკანი
Dean

რექტორი
Rector

სარეგისტრაციო
Registration № 1826

თბილისი
Tbilisi

თარიღი
Date 10.11.2016

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Ever-Changing Structural Provisions of Our Building Codes

at

ABM in Richmond, Virginia

on

23 October, 2018

0.15 CEU

Nino Kobuladze

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

S. K. Ghosh

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-18025

AIA: IC9512

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Building Planning

at

ABM in Richmond, Virginia

on

22 October, 2018

0.3 CEU

Nino Kobuladze

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17990

AIA: IC9449

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Means of Egress & Fire Protection

at

ABM in Richmond, Virginia

on

23 October, 2018

0.3 CEU

Nino Kobuladze

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17999

AIA: IC9419

HSW: yes